



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი  
(ელული)  
№9 (482)  
(5781)  
2021

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגוריה

7-8 სექტემბერი ჩემი ჰა შანა –  
ღვება 5782-ე წელი, ტლოტაკო!





ქართული ეზრათობა – პროგრესის სამსახურში

არაბთა გაერთიანებული საამიროები:

დანადგარები, რომლებიც წყალს ჰაერიდან აწარმოებენ, აბუ-დაბის პარკებსა და სანაპიროებზეც მივიდა



აბუ-დაბისა და ისრაელის ფირმებს შორის შეთანხმების ფარგლებში, კომპანია „ვათერგენ“ (Watergen) არაბთა გაერთიანებულ საამიროებს თავისი დაპატენტებული წყლის ტექნოლოგიებს მიანოდებს. „აბრაამის შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ, 2020 წლის 15 სექტემბერს აბუ-დაბიში დაფუძნებულმა ჰოლდინგმა (Al Dahra Holding) გასული წლის ოქტომბერში ისრაელში დელეგაცია გაგზავნა, დელეგაციის მიზანი გახლდათ, შეესწავლათ, გახლდათ თუ არა, შესაძლებელი ბიზნეს-პარტნიორობა ისეთ სექტორებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, წყლით მომარაგება და ტექნოლოგიები. ერთ – ერთი სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც ამ ვიზიტის შედეგად წარმოიშვა, გახლდათ საქმიანი ურთიერთობა ისრაელის ტექნოლოგიურ კომპანია „ვათერგენთან“ (Watergen), რომელიც წყალს ჰაერიდან აწარმოებს. აბუ-დაბის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული წყლის ანალიზის პროექტის შემდეგ, „ვათერგენის“ (Watergen) მიერ მონოდებული წყლის ხარისხი აღმოჩნდა „შესანიშნავი“. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კომპანიამ საზოგადოებრივი გამოყენებისთვის. დაამონტაჟა ისრაელის საჰაერო დანადგარების პირველი ნაკრები ჩატარდა საპილოტე პროგრამა და 15 საშუალო ზომის

„ვათერგენის“ (Watergen) დანადგარი მისში დამონტაჟდა ქალაქებში: აბუ დაბი, ალ აინი და აბუ დაბის საამიროს დასავლეთი რეგიონი. დანადგარები განთავსდა პარკებსა და სანაპიროებზე, რათა მსურველებს საშუალება მიეცეთ, დატკბნენ უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლით. ალ დაჰრა ჰოლდინგის (Al Dahra Holding) ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეკვეთილია 700 დამატებითი დანადგარი, რომელთაგან 500 არის ახლად გამოშვებული სახლის მონყობილობა „გენნი“ (Genny). მეცნიერები აცხადებენ, რომ სასმელ წყალზე წვდომისათვის ბრძოლამ შესაძლოა უახლოეს მომავალში გამოიწვიოს გლობალური კონფლიქტები და ამ ფონზე შეთანხმებას ექნება შორს მიმავალი შედეგები. არაბთა გაერთიანებული საამიროების ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2017 წლის სექტემბერში წარმოადგინა ქვეყნის წყლის უსაფრთხოების 2036 სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს სასმელ წყალზე მდგრადი წვდომის უზრუნველყოფას. სტრატეგიას აქვს რამდენიმე მიზანი, მათ შორის წყლის რესურსებზე მთლიანი მოთხოვნის 21 პროცენტით შემცირება და წყლის ეროვნული მოცულობის შენახვის ვადის, არანაკლებ ორ დღემდე გაზრდა. მამ, როგორ შეუძლია ქვეყან-

ნას აწარმოოს საკუთარი წყალი? პასუხი ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებშია საძიებელი. ურთიერთგაგების მემორანდუმის (MoU) შედეგად, რომელიც „ალ დაჰრა ჰოლდინგის“ (Al Dahra Holding) ვიცეთაგმჯდომარის და თანადამფუძნებლის, ხადიმ ალ დრეისა და კომპანია „ვათერგენის“ (Watergen) გენერალური დირექტორის და პრეზიდენტის, მიხეილ მირილაშვილის, გასული წლის ნოემბერში აბუ-დაბიში გაფორმდა, მხარეები შეთანხმდნენ აბუ-დაბიში ტექნოლოგიური ცენტრის შექმნაზე, სადაც უწყვეტი პროცესის პირობებში აწარმოებენ სასმელი და სარწყავი წყლის აღჭურვილობას. შეთანხმებაში, რომელიც მიღებული იქნა, ნათქვამია, რომ „ვათერგენი“ (Watergen) არაბთა გაერთიანებული საამიროების მიანოდებს თავისი დაპატენტებული წყლის ტექნოლოგიებს და ამავდროულად გაფართოვდება მთელს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში. მიხ. მირილაშვილმა Khaleej Times-ს ფეთაჰ ტიკვაში განუცხადა, რომ მისი ხედვა იყო მთელი მსოფლიოს მოსახლეობა უზრუნველყოს სასმელ წყალზე წვდომით, რაც მას ადამიანის

ძირითად უფლებად მიაჩნია. — ჩემი ხედვა იყო და არის უმაღლესი ხარისხის წყლის წარმოება ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად. მსოფლიოში ყველას უნდა ჰქონდეს წვდომა წყალზე — დასძინა მიხ. მირილაშვილმა. როგორ მუშაობს ეს კონცეფცია? „ვათერგენის“ (Watergen) ტექნოლოგია წყალს ჰაერიდან ამოიღებს სითბოს გაცვლის ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც აწარმოებს წყალს მნიშვნელოვნად მოკლე დროში. ეს ტექნოლოგია ტენიანობის მხოლოდ 20 პროცენტს მოითხოვს, რაც განმარტავს მის თავსებადობას უდაბნოს მსგავს პირობებთან, როგორცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები. — მომდევნო ორი წლის განმავლობაში არაბთა გაერთიანებული საამიროებში მცხოვრებ ყველა ოჯახს სახლში ექნება ჰაერიდან წყლის გამომუშავებული დანადგარი-ამბობს მიხ. მირილაშვილი. მან ისიც დასძინა, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროების კომპანია, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი უდიდებულესობა შეიხი მუჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი, აბუ-დაბის მეფისნაცვალი და არაბთა გაერ-

თიანებული საამიროების შეიარაღებული ძალების უმაღლესი მეთაურის მოადგილე მისია გახლავთ, მოსახლეობის 30 პროცენტი უზრუნველყოს ადგილობრივად განთავსებულ საჰაერო წყლის დანადგარებით, ხოლო მოკლე დროში ეს მაჩვენებელი 100 პროცენტამდე გაზარდოს. „ვათერგენის“ (Watergen) უმსხვილეს დანადგარებს დღეში 6000 ლიტრი წყლის გამომუშავება შეუძლიათ და უკვე მუშაობენ აფრიკის სოფლებსა და და ლაზას სექტორის საავადმყოფოებში. წყლის მისაწოდებლად. სუთნლიანი თანამშრომლობის პროექტი „ალ დაჰრა ჰოლდინგთან“ (Al Dahra Holding) ერთად არაბთა გაერთიანებული საამიროების უდაბნოს ეკოსისტემის გათვალისწინებით შემუშავდება.



მისალ მიჰელ დიონი გაზეთი „ხალიჯ თაიმს“ 10 აგვისტო 2021

(მე-2 გვერდიდან)

რომ გაგმრავლდეთ როგორც თევზები. ცხვრის (ან თევზის) თავი იპი რაცონ მილფანება ადო-ნაი ელო-ჰენუ ველო-ოჰე ავოთენუ, შენიპი ლეროშ ველო ლეზანავა. და იყოს ნება შენს წინაშე ადო-ნაი ელო-ჰენუ და ელ-ოჰე ჩვენი მამებისაო, რომ ვიყოთ თავში და არა ბოლოში. რომ-ჰა-შანის პირველი დღე ჰაშემმა დაადგინა პირველი ადამიანის დაბადების დღე 1 თიშრე, მაგრამ რატომ არა სამყაროს ქმნილების პირველი დღე - 25 ელული? ძირითადად იმიტომ რომ ადამიანს — ჰაშემის საუკეთესო ქმნილებას, აქვს არჩევანის საშუალება და ეს დიდი საჩუქარი ადამიანმა უნდა გამოიყენოს სიკეთისთვის, და იმისთვის რომ ჩვენ ავირჩიოთ სწორი გზა აუცილებლად უნდა ვისწავლოთ თორა. რომ-ჰა-შანის პირველ დღეს მიხის შემდეგ უნდა მივიღეთ მდინარის პირთან და წავიკეთხოთ ლოცვა-თაშლიხ. მიდრაში გვასწავლის, რომ ამით ჰაშემს ჩვენ ვახსენებთ ავრაჰამ ავინუს საქციელს, როდესაც მას მიჰყავდა იცხაკი შესანი-

რად, მათ გზაზე შემოხვდათ დიდი ტბა და მიუხედავად სიძნელებისა, გადალახეს. როდესაც ვასრულებთ ამ მინჰავს — ჩვეულებას, ვახსენებთ ჰაშემს, რომ ჩავგივთვალოს დიდი წინაპრების დამსახურებები და მოგვცეს ტკბილი და ბედნიერი წელნიანი დღეებს რომ-ჰაშანიდან ქიფურამდე ეწოდება თეშუბის 10 დღე, ხოლო შაბათს მათ შორის - შაბათ თეშუვა, ამ დღეებში ისრაელებს ძღვევით განსაკუთრებული საშუალება, გააკეთონ თეშუბა, მოიანაიონ ცოდვები და დადონ პირობა რომ მომავალში მხოლოდ სიკეთეს იქმნიან. ქიფურის წინ მიღებულია ქაფართების გაკეთება, რომელიც სრულდება ქათამის, ან ფულის საშუალებით, წარმოითქმება შესაბამისი ტექსტები და შემდეგ ეს ქათამი ან თანხა გადაეცემათ გაჭირვებულებს. იომ ქიფურში შაბათის აკრძალვებს ემატება კიდევ 5 აკრძალვა. ესენია: 1. არ შეიძლება ჭამა და სმა 25 საათის განმავლობაში, 2. ბანაობა, თუნდაც ხელ-პირის დაბანვა, 3. საცხების და მალამოების გამოყენება, 4. ტყავის ფეხსაცმლის ჩაცმა,

5. ცოლ-ქმრული ურთიერთობა ობის დანყება. რამდენიმე სიტყვა იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელშიც დღეს იმყოფება მთელი მსოფლიო. ჩემი მოკრძალებულია აზრია: ჰაშემს არ მოსწონს ჩვენი — ადამიანების — ქცევა და ურთიერთობა, ამიტომ დაგვაცვილა ერთმანეთს, არ მოსწონს ჩვენი საუბარი-გინება, წყევლა, უწმინური სიტყვები, ტყუილები, ჭორები, დაცინვა, შეურაცხყოფის მიყენება. არ მოსწონს შურიანობა, არ მოსწონს ჩვენი ჩაცმულობა: ქალს აცვია, როგორც კაცს და პირიქით არ მოსწონს ჩვენი დამოკიდებულება მშობლებისადმი, მოხუცებისადმი. ჩემი აზრით, მთავარია ადამიანებმა გაავაკეთონ სწორი არჩევანი: მოვეფეროთ ერთმანეთს, დავამყაროთ მშვიდობა ადამიანებს შორის — ყველამ პირველ რიგში თავის ოჯახში, შემდეგ უბანში, ქალაქში, სახელმწიფოში. და თუ ასე მოვიქცევით, ჰაშემი ამ ვირუსსაც ადვილად დაგვამარცხებინებს!

შანა ტოვა უ მეტყუა! აპარონ მდინარაქი სალოცავ „ბეთ რახელის“ ხახამი








### ორი ერის გულისტქმის მემორიალი

ახლაბან გამომცემლობა „გრიფონმა“ გამოსცა საქართველოს დამსახურებული მხატვრის ბუდუ სირბილაძის მეოთხე ალბომი.

„ბუდუ სირბილაძის ნახატი კაცის გულს ეამება. მისი ფერწერის კეთილი ძალა დიდი ხანია ბევრმა იგრძნო სამშობლოში და უცხოეთშიც, ყველამ გავიხარული მხატვრის მშვენიერი ფერწერული, ახლაბან გამოქვეყნებული ალბომით,“ - აღნიშნავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ რატიანი.

მხატვარმა ახალ ალბომს, ამჯერად თავისი ნახელავი მედლების, მემორიალური ძეგლების, არქიტექტურული ესკიზებიც დაამატა. დიახ, „მემორიალური ძეგლების ესკიზებში ვქმნი: არქიტექტურის, ქანდაკების, კერამიკის, ფერის, ხაზის ფოტო-სინთეზს, სადაც გამოვიყენე ჩემი შეხედულებების ერთერთი პუნქტი, - „სინთეზი“ -სამყაროსა და ცხოვრებისეული კონტრასტების“.

„სამყარო წყაროა სილამაზისა და მშვენიერების, ამის აღმოჩენა ხელოვანის უფლება და მოვალეობაა“, - აღნიშნავს ახალი ალბომის წინასიტყვაობაში ავტორი.



ბუდუ სირბილაძე 1937 წელს დაიბადა ქუთაისში. დამთავრებული აქვს ჯერ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემია.

„მან ძალიან ადრე შეიგრძნო ფერთა სიმფონიის საოცრება, ქართული ფერწერის საიდუმლოებანი, უძველესი კულტურის, ხუროთმოძღვრების, ჰიმნოგრაფიის, პოეზიის სიდიადე და თავისებურებანი.

ახალგაზრდა მხატვარმა, რომელიც 60-იანელთა სახელოვან დასს მიეკუთვნება, ცხოვრების აკადემია, ფერწერის შეცნობის, აღქმის, გააზრების სკოლა გაიარა და მრავალი ძეგლის შედეგად ჩამოაყალიბა საკუთარი კრედიტო: ადამიანის შინაგანი სამყარო - მიკროკოსმოსია. საოცარი ანარეკლი უფლის მიერ შექმნილი სამყაროსი, რომელიც მშვენიერებით, ჰარმონიით, სიყვარულით იმოსება კვდება და იბადება დღენიადაგ რწმენით და სასოებით.“

ბუდუ სირბილაძის პიროვნებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის შემოქმედი და უღალატო, მართალი, უანგარო პიროვნება, რომლისთვისაც სიცოცხლე ფერწერაა, ფერწერა კი სიცოცხლის გაგრძელება.

ზოგადად, მხატვარ ბუდუ სირბილაძის ახალი ალბომი ჰუმანიზმის დიადი იდეის ლაღადისია. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან მეგობრობას, რომელიც ავტორმა გამოხატა მემორიალურ ესკიზში „გზა-სამრეკლო“.

ქართულ მინა-წყალზე ქართველ და ებრაელ ხალხთა 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება მიმდინარეობდა, როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე.

ქართველი ებრაელები მეტყველებდნენ და აზროვნებდნენ ქართულად და სრულიად კანონიერად მიიჩნევდნენ ქართულს მშობლიურ ენად. ქართველი ებრაელობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან და საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას.

ქართულ გარემოსთან სიახლოვემ ებრაელებს შეუწარმოა და გამოუმუშავა თავისებური კოლორიტი და ეს ურთიერთობა ხდებდა და ხდის ქართველ ებრაელებს ქართული სამყაროს ორგანულ ნაწილად.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ 26 საუკუნოვანმა ქართულ-ებრაულმა ურთიერთობამ ნამდვილი მეგობრობის საუცხოო ნიმუში მისცა მთელ მსოფლიოს. ასე რომ, ქართველ და ებრაელთა ურთიერთობა და სიყვარული გუშინ და დღეს არ შექმნილა. იგი ჩვენი წინაპრების სულიერი სიახლოვის ტრადიციები-

დან იღებს სათავეს, სადაც შავით თეთრზე წერია: „ებრაელს არასოდეს უღალატნია ქართველისათვის და ქართველიც თავის ჩინივით უფრთხილდება ებრაელთა მეგობრობას.“

სწორედ, ურთიერთგატანისა და მარადიული მეგობრობის ნიმუშია მხატვარ ბუდუ სირბილაძის მიერ შექმნილი მეგობრობის მემორიალური ქანდაკება „გზა-სამრეკლო“.

„საქართველოს შორეულ წარსულში“ ქართველებისა და ებრაელების მიერ დარგული „სიცოცხლის ხე“ დღესაც ყვავილობს. ყოველივე ეს სიხარულის ცრემლებს მგვრის. მინდა მთელი ერი გულში ჩავიხუტო და მოვეფერო. ეს გამოვხატე ესკიზ მემორიალურ ქანდაკებაში „გზა - სამრეკლო“, რომელსაც ვუძღვნი ქართველ და ებრაელ ხალხს, მათი მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობისთვის.

მემორიალური ქანდაკება „გზა-სამრეკლო“ მონუმენტური, არქიტექტორული კომპოზიციურია, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს 26 საუკუნის განმავლობაში ტრაგედიებში გამოვლილ უძველეს ქართველ და ებრაელ ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, რომელიც სტალაგმიტებით ჩაიკირა და ჩადულადა.

ორ სვეტზე, რომელიც მოგვაგონებს სტალაგმიტებს, აშენებულია მთელი მემორიალური ქანდაკების კომპოზიციური თემანეთთან დაკავშირებული თალით, რომელიც სიმბოლურად აერთიანებს ორი ხალხის საერთო წარსულს. თალი არის აგრეთვე ასომთავრული ღანი, რაც ნიშნავს ღვთის კარს.

რატომ გზა? იმიტომ რომ მემორიალური ქანდაკება იქნება გზის მონაკვეთი, რომელიც ფეხით მოსიარულეებს გაახსენებს მათ საერთო წარსულს.

რატომ სამრეკლო? იმიტომ, რომ ზარები საქართველოში



ამცნობდა ხალხს ან გასაჭირის მოახლოებას ან გამარჯვებას. ამ შემთხვევაში ამცნობს ქართველთა და ებრაელთა ძმობას, მეგობრობას, 26 საუკუნის განმავლობაში, დღესაც და მომავალშიც.

სვეტზე არის ჯვრისა და დავითის ვარსკვლავის გამოსახულება, აგრეთვე, ვაზის მტევნებით, რომელიც მუდმივი სიცოცხლის სიმბოლოა. სვეტებზე წარწერაა. ერთ სიბრტყეზე ქართულად, მეორეზე ებრაულად: „26 საუკუნე ქართველ და ებრაელ ხალხთა ძმობა, მეგობრობა ან და მარადის“.

ეს მონუმენტური ხელოვნების ნიმუში თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, რაც უნიკალური მოვლენაა საქრისტიანო სამყაროს ისტორიაში“, - წერს მხატვარი ბუდუ სირბილაძე.

დღეს, მემორიალური ქანდაკება „გზა - სამრეკლო“-ს მკეტი დაცულია დავით ბაბოვიძის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში. და, როგორც შემოქმედი და დიდი დიპლომატის მხატვარი ბუდუ სირბილაძე აცხადებს: „მისი ბავშვობის ოცნებაა, რომ მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაიდგას ორი ერის მეგობრობის ნიშნად ეს მემორიალური ქანდაკება და მისი ტყუპის ცალი კი ისრაელში ქართველ-ებრაელთა დიდ დასახლებაში, როგორც მარადიული მეგობრობის სიმბოლო“...

იმედია, ორი ერის გულისტქმის გამოხატულებად ქუთაისში ეს მემორიალური ქანდაკება მალე აღიმართება.

**მარიამ მარჯანიშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

### სეფარადული ჩვეულებით

2020 წ. 13 აგვისტო ისრაელმა და არაბთა გაერთიანებულმა ემირატმა გამოაცხადეს ერთმანეთთან ურთიერთობა დავამყარეთო. 11 სექტემბერს ანალოგიურ შეთანხმებას მიიღწიეს ბაჰრეინმა და ისრაელმა. სულ რაღაც რამდენიმე დღეში ამ სამმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელსაც მოგვიანებით „აბრაამის შეთანხმება“ ეწოდა და რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთგაგებისა და თანაარსებობის საფუძველზე, ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას, ადამიანის ღირსების პატივისცემასა და რწმენის თავისუფლებას.

აქედან გამომდინარე, სპარსეთის ყურის ექვსი სახელმწიფოს ებრაელობის წარმომადგენლებმა გაერთიანება გადწყვიტეს — შეიქმნა სპარსეთის ყურის ებრაელთა თემების ასოციაცია (AGJC). გაერთიანების მიზანი გახლდათ სელიხოთის ლოცვების კითხვა. სელიხოთის — პატიების თხოვნის ლოცვანთა არსი ცნობილია: ახალი წლის — რომ ჰამანისა და ქიფურის წინ უზენაესის წინაშე პატიების თხოვნა.

22 აგვისტოს AGJC-მ ჭეშმარიტად სეფარადული ხასიათის სელიხოთის ლოცვა ტრასილირებით ჩაატარა — ლოცვას სპარსეთის ყურის ყველა სახელმწიფოში — ბაჰრეინში, კუვეითში, ყატარში, საუდის არაბეთში, ომანსა და არაბთა გაერთიანებულ ემირატებში ხელდავდნენ და უსმენდნენ.

—AGJC გახლავთ სპარსეთის ყურის ებრაული თემების ქსელი, მისი მიზანია, რეგიონში ცხოვრების ებრაული წესის გაღრმავება. ელულის თვის განმავლობაში, ჩვენ ლოცვებით ვვებებით დიდ დღესასწაულს. როგორც დიდი გაერთიანება, ვიკრიბებით სელიხოთის ჩვენი — სეფარადული წესით ჩასატარებლად — უთხრა Al Arabiya English-ის კორესპონდენტს AGJC-ის სულიერმა ლიდერმა, დოქტორმა და რაბინმა ელი აბადიმ.



# სამედიცინო სფეროს მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

დოდო ჩიკვაშვილი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „მ“ №3,4,5,6,7,8)



**სოფო დვირ-ფიჩაძე Sopho Dvir-Picchadze** - 1992 წელს ამოვიდა ისრაელში, პროექტით ააღე, მშობლების გარეშე. დაამთავრა საშუალო სკოლა და 1998 წელს დაიწყო სწავლა თელ-ავივის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. 2001 წელს დაამთავრა ფსიქოლოგიაში ბაკალავრიატი. 2003 წელს დაიწყო მაგისტრატურა კლინიკურ ფსიქოლოგიაში. 2008 წელს პროფესიული კარიერა განაგრძო კერძო პრაქტიკით, მუშაობდა ტელ-ამომერის საავადმყოფოში ზრდასრულთა ფსიქიატრიულ განყოფილებაში. კლინიკაში ზრდა და პროფესიული განვითარება მიმდინარეობდა ადამიანების სხვადასხვა სირთულეების და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით ისეთი დაავადებებისაგან, როგორც დეპრესია, შფოთვა, შიზოფრენია, პოსტტრამა-ული სტრესული აშლილობა, ბიპოლარული აშლილობა და სხვა ფსიქოზური დარღვევები. 2009 წელს სწავლას აგრძელებს და ფსიქოთერაპიის მეთოდებს ეუფლება ებრაულ უნივერსიტეტში, ავიდ ინსტიტუტში. ის ცოდნას აღრმავებს და აფართოებს ფსიქოთერაპიაში კლინიკურ-დინამიურ სფეროში. 2015 წლიდან მიღებულია ისრაელის ფსიქოანალიტიკური საზოგადოების წევრად, დაიწყო ტრენინგი ფსიქოანალიზის სფეროში. აქვს ფსიქოანალიტიკური კლინიკა და პრაქტიკა ხანგრძლივი ინტენსიური თერაპიის განხრით. მზა მასალა ფსიქოანალიზის სფეროში დაგროვილი აქვს და დისერტაციის წერას შეუდგა. პარალელურად ხელმძღვანელობს სტუდენტებს, ასწავლის ფსიქოანალიზის კურს ინსტიტუტში.

**იარონ მოშელ Yaron Moshel (მოშიაშვილი)** - წარჩინებით დაასრულა ენ York University Medical Center და Ph.D. ხარისხი დაიცვა ნეირო-ონკოლოგიაში. არჩეულ იქნა Alpha Omega Alpha (AOA) ლირსულ საზოგადოებაში. რეზიდენტურა ნეიროქირურგიაში გაიარა Weill Cornell Medical Center. დოქტორ მოშელი თანა-დირექტორი ბრძანდება Gerald J. Glasser Brain Tumor Center at Atlantic Health System's Overlook Medical Center. იგი არის ასევე ნეიროქირურგიის კლინიკური დოცენტი Langone Medical Center. მისი ინტერესი ფოკუსირებულია ტვინის, ქალის ძვლების, ჰიპოფიზის და ხერხემლის სიმსივნეთა გამოვლენა-მკურნალობაზე, ინვაზიური ენდოსკოპია, მიკრო-

ქირურგიული და სტერეოტაქტიკური რადიოქირურგია. მისი საქმიანობა მოიცავს ეპილექსიის ქირურგიულ და სამწვერა ნერვის ნევრალგიის ინვაზიური მეთოდით მკურნალობას. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში, როგორც რეფერენტი სამეცნიერო პროგრამა AANS კომიტეტის სიმსივნის განყოფილებაში. გარდა ამისა, მონაწილეობს საერთაშორისოდ აღიარებულ ნეიროქირურგთა ფორუმებში და მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, აკადემიური მოსწრების და ნეიროქირურგიული კვლევის საგრანტო მხარდაჭერა ამერიკის კიბოს საზოგადოებისაგან. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია ჟურნალებში ნეიროქირურგიის, ნეიროქირურგიის და პილექსია სფეროში. ავტორია რამდენიმე წიგნის თავის პირადი მიღწევების აღწერისა სტერეოტაქტიკური, ინვაზიური ხერხემლის და თავის ტვინის ოპერაციების საკითხებში. ამერიკის სამ შტატში არის ჩართული თავის ტვინის სიმსივნეთა მკურნალობის ყველაზე მნიშვნელოვან პროგრამაში Overlook Medical Center's CyberKnife Program.


**აბრამ კრიხელი Abraham Krikhely** - Assistant Professor of Surgery CUMC (კოლუმბიის უნივერსიტეტი) მიღებული აქვს განათლება Stern School of Business და სამედიცინო სფეროში School of Medicine. სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე: რეზიდენტურა - ზოგადი ქირურგია. გამოცდილი სპეციალისტი გახლდა ბარიატრიულ და ზოგად ქირურგიაში. კლინიკურ ინტერესებთან შორის: თიაქარის ოპერაცია, ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი ნაწლავის დაავადებებთან რობოტიკული ჩარევა. სრულ განაკვეთზე მიღებულია აიმონიდეს ედიცალ ჩენტერ მინიმალურად ინვაზიური ქირურგიის სამედიცინო ცენტრში. რეგულარულად აქვეყნებს კვლევის სფეროში მასალებს, ეროვნულ და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე წარდგინებით. არის პრესტიჟულ სამედიცინო საზოგადოებათა წევრი, როგორც: SAGES (Society of American Gastrointestinal and Endoscopic Surgery), ASMB (American Society of Metabolic and Bariatric Surgery), IFSO (International Federation for the Surgery of Obesity and Metabolic Disorders), ACS (American College of Surgeons).

**ოლგა მორელი Olga Morelli (მოძღვრიშვილი)** - რუსე-

თის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (2007წ.) დაასრულა მოსკოვში. სპეციალიზაცია ბაკულის სახ. გულის ქირურგიის და სისხლძარღვთა სამეცნიერო ცენტრში, გაიარა (2007-12), მოსკოვი. Ph.D. - დისერტაცია თემაზე: "კლინიკური - ულტრაბგერა კორელირებს გულის რესინხრონიზაციით თერაპიას ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ პაციენტებში" (2013). ისრაელში რაბინის სამედიცინო ცენტრში, ბელინსონის საავადმყოფოში, კარდიოლოგიის განყოფილებაში ინყებს სტაჟირებას, ენიჭება სპეციალისტი კარდიოლოგიის სტატუსი. სპეციალიზაციის პერიოდში გამოაქვეყნა სტატიები, კონფერენციებში იღებდა მონაწილეობას. თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს უტარებს სალექციო კურსს.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად წარმოჩენილი მასალიდან თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად ვრცლად და ფართოდ არიან ჩართული ჩვენი თემის სამედიცინო განათლების მქონე წამყვანი სპეციალისტები სხვადასხვა სფეროში. ისინი უთავსებენ პრაქტიკულ კლინიკურ მოღვაწეობას სამეცნიერო კვლევას სამედიცინო დარგში; მოპოვებულ ცოდნას იყენებენ ფარმაკოლოგიური მრეწველობის განვითარებაში, ატარებენ ფრონტალურ ლექციებს სამედიცინო ფაკულტეტზე, ეწევიან ონლინე კონსულტაციებს პაციენტებისათვის, წარმოდგენილი არიან საერთაშორისო კონფერენციებზე, გამოსცემენ სახელმძღვანელოებს, ემსახურებიან ისრაელის ჯარს, კურნავენ პაციენტებს, მონაწილეობენ მართმსაჯულების სფეროში სამედიცინო დაუდევრობის შემთხვევათა სწორად განსჯაში. მრავალთა ბიოგრაფია მეტყველებს არა მარტო მათ მაღალ პროფესიონალიზმზე, არამედ ღრმა ერუდიციაზე და ფართო ინტერესებზე. მეორე მხრივ: "სადაურსა სად ნაიყვანს ბედი" - მათი მსოფლიოში განთავსების არეალი ფართო არის. ისინი გაცდენ დაბადების ადგილს და დაიმკვიდრეს ავტორიტეტი ახალ გეოგრაფიულად დაშორებულ ტერიტორიაზე.

## ილია დავარაშვილის ხსოვნას



ზეცად აბრძანდა ჩვენი უფროსი მეგობარი, გამოჩეულად ნიჭიერი იურისტი, საზოგადოებაში დამსახურებულად აღიარებული და დაფასებული ილია დავარაშვილი — ჩვენი ბატონი ილო.

საქართველოს პროკურატურაში უღრესად საპასუხისმგებლო, ურთულეს პოზიციებზე, ხანგრძლივი მოღვაწეობისას, ბატონმა ილიამ კოლეგებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, პირადი ღირსების უკომპრომისო დაცვით, არაერთგზის აჩვენა კანონიერების, სამართლიანობის აღსასრულელად შეუპოვარი შემართება, კომპეტენტურობა.

ამ დღეებში, ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო, მნიშვნელოვანი მოგონება ამოტივტივდა დაულალავად და პატიოსნად მუშაობის წყურვილით სავესე პროფესიონალზე. რარიგ კდემით და რიდიტ ეპყრობოდნენ საქართველოს პროკურატურის (არა მხოლოდ ისინი!) სხვადასხვა თაობის მოღვაწენი! მთავარი: ეს ბრძენი პრაქტიკოსი ურთულეს სიტუაციებში, როგორ ინარჩუნებდა ზნეობრივ სიმალღეს! ბატონი ილიას გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებ მის სათნო მეუღლეს, საქვეყნოდ აღიარებულ მის ორ — მეცნიერ მედიკოს ვაჟიშვილსა და მათს ოჯახებს.

**ანზორ პალუაშვილი**  
იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი



**დაგუჟანგაქანი და გაომცემაქანი:**  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,  
ტელეფონები: 299.90.96

**EAJC**  
EURO-ASIAN  
JEWISH CONGRESS

**რამისტარიკაშულია**  
ქ. თბილისის მთაწმინდის  
რაიონის სასამართლოს  
მთაწმინდა.  
რამისტრაციის № 4/1-921

**რედაქტორი**  
გურამ ბათიაშვილი  
ISSN 1987-8982 UAC 070  
411.16  
8-557  
9771987898003